ეჭვი, კითხვა ? CLAT* გიპასუხებთ

*ტუბერკულოზთან ბრძოლის

ცენტრი

ტუბერკულოზი

ინფორმაცია

დაავადებული პირებისთვის

Agence Régionale de Santé Languedoc-Roussillon

MONTPELLIER CHU CENTRE HOSPITALIER UNIVERSITAIRE

ტუბერკულოზის დაავადება

ეს არის ინფექციური დაავადება, რომელსაც
იწვევს მიკრობი :კოხის ბაცილი ან ბ.კ.
ის ძირითადად აზიანებს ფილტვებს, ზოგჯერ სხვა ორგანოებსაც. ამ
დაავადებას მკურნალობენ ანტიბიოტიკებით.



სიმპტომები

ხველა

ხველა სისხლით

ღამის ოფლიანობა

წონის დაკარგვა

დაღლილობა

სიცხე

ნიშვნა: შესაძლოა გქონდეთ ტუბერკულოზი და გქონდეთ მხოლოდ
ითი ამ სიმპტომიდან, ან შეიძლება გქონდეთ სხვა სიმპტომები,
ომლებიც დაკავშირებულია დაავადების ლოკალიზაციასთან.

კოხის ბაცილი (BK) არის ბაქტერია, რომელსაც ებრძვიან ანტიბიოტიკებით. მკურნალობა ხანგრძლივია: მინიმუმ ექვსი თვე. თავიდან სამ-ოთხ წამალს მიიღებთ, რამდენიმე თვის შემდეგ მკურნალობა შემსუბუქდება.

<u>წამლის მიღება :</u>

მკურნალობა ეფექტურია, თუ მიიღება:

- ყოველდღე, **შეწყვეტის გარეშე** ;
- უზმოზე ;

არ შეწყვიტოთ ან შეამციროთ მკურნალობა სამედიცინო რჩევის გარეშე და გვერდითი ეფექტების გამოვლენის მიუხედავად.

მკურნალობის შეწყვეტის ან არასწორად მიღების შემთხვევაში, ტუბერკულოზი **შეიძლება არ განიკურნოს** და ბაცილი გახდეს რეზისტენტული წამლების მიმართ, რომლებიც კარგავენ ეფექტურობას. მაშინ საჭირო ხდება სხვა ხანგრძლივი და რთული მკურნალობა.



1. მიიღეთ წამლები დილით ახალგაღვიძებულზე, უზმოზე
2. მოითმინეთ 30 წუთი ჭამამდე

3. ნორმალური კვება 4. ალკოჰოლი მიღება საშიშია 5. არ ჭამოთ ღამის განმავლობაში

<u>მკურნალობის ძირითადი გვერდითი მოვლენები :</u>

- ცრემლებისა და შარდის ნარინჯისფერი შეფერილობა;
- კონტრაცეპტული აბების ეფექტურობის გაუქმება;
- ღვიძლის ფუნქციური ტესტების დარღვევის რისკი;
- მხედველობის დარღვევის რისკი;
- საჭმლის მომნელებელი დარღვევები მკურნალობის დასაწყისში;
- იშვიათი გამონაყარი კანზე.

თუ ეს ეფექტები გაძლიერდება, გთხოვთ, დაუკავშირდეთ CLAT-ს.



ნარინჯისფერი შარდი

ნარინჯისფერი ცრემლი



კოტრაცეფციის აბები აღარ მუშაობს

<u>სამედიცინო დახმარება :</u>

- ყოველთვიური სამედიცინო კონსულტაცია ;
- სისხლის ანალიზები ;
- ოფთალმოლოგის კონსულტაცია.

რენტგენოლოგიური მონიტორინგი აკონტროლებს მკურნალობის ეფექტურობას.

გამოცხადდით
კონსულტაციებზე

გაიკეთეთ სისხლის ანალიზი
ლაბორატორიაში ღვიძლის
მონიტორინგისთვის

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ :

ᲢᲣᲑᲔᲠᲙᲣᲚᲝᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐ (ALD).
ᲛᲘᲢᲝᲛ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲐᲕᲡᲔᲑᲡ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲡ ᲐᲛ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ�კᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲘᲡ, ᲙᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡ 100%-ᲘᲗ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲗᲣ ᲐᲠ �გᲐᲥᲕᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲓᲐᲤᲐᲠᲕᲐ, ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲛᲣᲨᲐᲙᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲒᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲔ�გᲣᲚᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ.

ᲢᲣᲑᲔᲠᲙᲣᲚᲝᲖᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ (CLAT) ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲢᲣᲑᲔᲠᲙᲣᲚᲝᲖᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲔᲑᲡ ᲣᲤᲐᲡᲝᲓ ᲐᲬᲕᲓᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲓᲐᲤᲐᲠᲕᲐ.

დაავადების გადაცემა

ტუბერკულოზს აქვს მხოლოდ საჰაერო გადაცემა; ფიზიკური კონტაქტი და სხვადასხვა ყოველდღიური საგნების გაზიარება უსაფრთხოა.

ამრიგად, პაციენტების უმეტესობა ჰოსპიტალიზებულია გადამდები პერიოდის დასრულებამდე. ვინც არ არის ჰოსპიტალიზირებული, გარშემომყოფების დასაცავად უნდა ატაროს **ნიღაბი** (მკურნალობის დაწყებიდან 3 კვირიდან ერთ თვემდე) და **რეგულარულად გაანიავოს ოთახები,** თუ არ აქვს ,,არაგადამდები" ფორმა.

მკურნალობამდე, ვვარაუდობთ, რომ ინფექცია **გადამდებია** დიაგნოზის დასვამდე 3 თვის განმავლობაში.

სწორედ ამიტომ **CLAT გამოძიებას** ატარებს თქვენი შეთანხმებით და თქვენი დახმარებით.
ეს საშუალებას გაძლევთ ამოიცნოთ ადამიანები, რომლებიც თქვენთან კონტაქტში იყვნენ და მოხდეს მათი შემოწმება. ამ პროცესში **CLAT**-ის მედდა დაგეხმარებათ.

სკრინინგისთვის ადამიანები შეირჩევიან კრიტერიუმების მიხედვით:
- ავადმყოფთან კონტაქტის **ხანგრძლივობა** და **სიახლოვე,**
- რამდენად **ჩაკეტილი** იყო ოთახი, სადაც მოხდა კონტაქტი.

შეგროვებული ინფორმაცია დაცულია პროფესიული საიდუმლოებით.

ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლა არის საზოგადოებრივი ჯანდაცვის აქცია, **CLAT**-ში სკრინინგი ყველასთვის უფასოა.

ხველება და ცემინება

ლაპარაკი (წვეთები)

სივრცის განიავება

ნიღბის ტარება

ეჭვი, კითხვა,

- რომელი ექიმი მიმკურნალებს?
- რამდენი ხანი გაგრძელებდა მკურნალობა? როდის უნდა მივიღო ის?
- რა უნდა ვქნა გვერდითი ეფექტების დროს?
- აღარ მაქვს წამლები და არ მაქვს დაგეგმილი ექიმის კონსულტაცია კიდევ მომდევნო 1 კვირა, რა უნდა გავაკეთო?
- ერთი დღით დამავიწყდა წამლის დალევა.
- სად შეიძლება ანალიზების გაკეთება (რენტგენი, სისხლის ანალიზი...) ?
- არ მაქვს სოციალური დაცვა: უნდა გადავიხადო მკურნალობის და წამლის ფული?
- რა უნდა გავაკეთო თუ მივიღებ ფაქტურას საავადმყოფოდან ?
- რამდენი ხნის შემდეგ შემიძლია სახლიდან გასვლა?
- ყველა გაიგებს, რომ ტუბერკულოზი მაქვს?
- ჩემს გარემოცვას ეშინია: უნდა დავრჩე კარანტინში?
- ვინ გაუკეთებს ანალიზებს ჩემს გარემოცვას?
- ჩემი გარემოცვისთვის ანალიზები უფასოა?
- და რა ეშველება ჩემს სამსახურს?

ამ და სხვა კითხვებზე პასუხისთვის,დაუკავშირდით CLAT-ს

ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ცენტრი მზად არის დაგეხმაროთ მთელი მკურნალობის განმავლობაში.

პირადი შენიშვნები

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲕᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔ CLAT-Ს ?

ᲐᲠᲜᲝ ᲓᲔ ᲕᲘᲚᲜᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘ, ᲞᲜᲔᲕᲛᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ.

.AT-ᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ :

ᲔᲥ. Ჟ. ᲨᲐᲠᲘᲝ (**Dr J. CHARRIOT**), ᲞᲜᲔᲕᲛᲝᲚᲝᲒᲘ, ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ

ᲔᲥ. Ქ. ᲥᲝᲕᲐᲡ (**Dr C. COVAS**)

ᲔᲥ. Ს. ᲓᲣᲢᲠᲝᲜ (**Dr S DUTRON**)

ᲛᲔᲓᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ ; ᲔᲚᲝᲓᲘ ᲑᲣᲡᲙᲔ (**Elodie BOUSQUET**), ᲔᲚᲔᲜ ᲑᲠᲣᲯᲘᲔᲠ (**Hélène BRUGIERE**) ᲓᲐ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘ ᲟᲣᲡᲢᲔ (**Stéphanie JUSTET**)

ᲝᲠᲓᲘᲜᲐᲢᲝᲠᲘ : ᲐᲓᲚᲘᲜ ᲡᲐᲜᲐ (**Adeline SAGNAT**)

ᲡᲘᲡᲢᲔᲜᲢᲘ : ᲡᲘᲚᲕᲘᲐᲜ ᲑᲣᲚᲣᲘ (**Sylviane BOULOUYS**)

ᲚᲔᲤᲝᲜᲘ: **04 67 33 60 84**

ᲥᲡᲘ: **04 67 33 22 75**

ᲔᲘᲚᲘ: **clat@chu-montpellier.fr**

ᲰᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲯᲐᲕᲨᲜᲘᲗ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲓᲐ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ.



ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ V. ANDRIEU, I. BARTHES et L. CAUMETTE
(ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘ F. LAUTRAM) – ᲑᲝᲚᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲘᲠᲔᲑᲐ : ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 2017.

ᲨᲔᲥᲛᲜᲐ : ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ, ᲛᲝᲜᲐᲞᲔᲚᲘᲔᲡ CHU, (01/21), G. FAUGIER